1. **საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი**

ა) სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები (Mass Communication and Media Studies);

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი მედიის კვლევებში (MA of Mass Communications in Media Studies).

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120

დ) სწავლების ენა: ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და აღწერა: პროგრამის მიზანია მოამზადოს მედიის და მასობრივი კომუნიკაციის მკვლევარი, რომელსაც შეუძლია ახალი ცოდნის კონტრიბუცია აკადემიურ სფეროში. სამაგისტრო პროგრამა შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს ინდივიდუალური ინტერესის მიხედვით განივითაროს პროფესიული უნარები. თავის მხრივ, თითოეული მაგისტრანტის წვლილი მნიშვნელოვანი იქნება უნივერსიტეტში მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების რესურსის განვითარებაში.

პროგრამის მიზანია ადგილობრივი და საერთაშორისო მედიის კვლევებისა და ურთიერთშედარების საფუძველზე, დააკვირდეს და შეისწავლოს მედიის დემოკრატიზაციის დინამიკა (განსაკუთრებით, ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში), მედიის და ჟურნალისტის როლი საზოგადოების და კულტურის ტრანსფორმაციის საქმეში.

ამ მხრივ, სამაგისტრო პროგრამა მიმზიდველი იქნება უცხოური უნივერსიტეტებისთვის. პროგრამა, ასევე, ფოკუსირებულია მედიის, მედია გარემოს და ინსტიტუტების ანალიზსა და კრიტიკაზე.

პროგრამის მოქნილობას განაპირობებს საკვლევი თემატიკის მრავალფეროვნება. მაგისტრი შეძლებს თავისი კვლევითი პოტენციალის განვითარებას ან/და ამ რესურსის პრაქტიკულად გამოყენებას.

მომავალი მკვლევრები სიღრმისეულად გაიაზრებენ იმ მულტი-დისციპლინარული და ინტერ-კულტურული კომუნიკაციების კონტექსტს, რომელიც მედიის განვითარებას და მედიისგან უკუგებას განაპირობებს. ასევე,

სიღრმისეულად გაეცნობიან საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის სტრატეგიებს, ინტერ-პერსონალურ კომუნიკაციებს, გაანალიზებენ მედიის სოციალურ და კულტურულ ზემოქმედებას და სხვ.

ეს სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს საკვლევი თემის არა თავიდან სწავლებას, არამედ მის სიღრმისეულ შესწავლას. მესამე სემესტრში, სტუდენტები წარმოადგენენ სამაგისტრო ნაშრომის ნაწილს, კვლევის დიზაინს. დასრულებულ ნაშრომს კი მომდევნო სემესტრის მანძილზე ინტენსიური კვლევის შედეგად დაასრულებენ.

პროგრამა მიეხმარება მაგისტრანტს აკადემიურ და პროფესიულ წინსვლაში. იგი შეძლებს მონაწილეობა მიიღოს კვლევების მომზადებაში და ასევე, დამოუკიდებლად აწარმოოს მედია-კვლევები. მომზადებული იქნება ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისთვის. მაგისტრები შეიძენენ საერთაშორისო კომპეტენციებს (I-COMs), რაც მათ საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში, გამოაქვეყნონ კვლევითი ნაშრომები.

მაგისტრანტები იმუშავებენ მედიის და მედია-ინსტიტუტების ანალიზსა და კრიტიკაზე, მედია–მონიტორინგზე, სხვადასხვა კვლევითი მეთოდების გამოყენებით დაწერენ კვლევებს, მათი ნაშრომები წარედგინებათ დამსაქმებლებს გაცნობის და უკუგების მოლოდინით. სამაგისტრო კვლევები მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იქნება უნივერსიტეტისთვის ამ მიმართულებით კვლევითი და აკადემიური პოტენციალის განვითარებისთვის.

პროგრამა მეტწილად შრომის ბაზარზე, მის მოთხოვნებზე, და ასევე, მის განვითარებაზეა ორიენტირებული. კვლევები მოიცავს როგორც ფუნდამენტურ, ასევე გამოყენებით მიმართულებებს.

დღეს დღეისობით, შრომის ბაზარს ესაჭიროება ხარისხიანი მედია–კვლევები. ამ მიმართულებით არაერთ პროგრამას ახორციელებს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, წარმოებული ხარისხიანი მედია–კვლევები ეხმარება მედია–ბაზარს საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებასა და განვითარებაში. კონკურენციის პირობებში, მულტი დისციპლინური კომპეტენციების მქონე კადრის არჩევა დამსაქმებლისთვის დამატებითი მოტივაციაა.

პროგრამის მოლოდინები რეალისტურია. კურსდამთავრებულთა დასაქმების და პროფესიული მიღწევების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს. ასევე, აჩენს გონივრულ მოლოდინს, რომ შეიქმნება ღირებული პროდუქცია, რომელიც სასარგებლო იქნება დარგის განვითარებისთვის.

მაგისტრანტები სწავლობენ მისკომუნიკაციისა და მედიის კვლევების განხორციელებას უახლესი მეთოდებით და მიდგომებით, კვლევების მომზადებისთვის შეუძლიათ ლიტერატურის მიმოხილვის დაწერა, მიზნების და ამოცანების, საკვლევი კითხვების, ჰიპოთეზების სწორად იდენტიფიკაცია, მეთოდის სწორად შერჩევა, თეორიული ჩარჩოს მომზადება, შედეგების დამუშავება, კვლევის პერსპექტივის დასახვა, რეკომენდაციების შემუშავება. ასევე, შეუძლიათ დადგენილ დედლაინზე მუშაობა, ინდივიდუალური დროის სწორი მართვა, კვლევის შედეგების ტრანსფერი, მედიის მრავალფეროვნების, გამოხატვის თავისუფლების, მედია გარემოს და ჟურნალისტთა უფლებების შესწავლის კუთხით მუშაობა და სხვ.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე დაიშვებიან აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრის ხარისხის მქონე აბიტურიენტები. სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე. მისაღები გამოცდები მოიცავს წერით გამოცდას და მიმღებ კომისიასთან გასაუბრებას.

ზ) სწავლის შედეგები: პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე. კურსდამთავრებულს შეუძლია მუშაობის დაწყება და/ან გაგრძელება, ასევე საკუთარი შესაძლებლობების ადექვატურად დემონსტრირებას დამსაქმებლებთან.

მაგისტრი შეითვისებს შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება	• სიღრმისეულად იცნობს მედიის და მასობრივი კომუნიკაციის კვლევის მეთოდებს, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის თეორიებს და განვითარების ისტორიას; • სიღრმისეულად იცნობს საზოგადოების სტრუქტურას და მისი ინფორმირებისთვის და ჯანსაღი სოციალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს და დამოკიდებულებებს. • გაცნობიერებული აქვს მედიის და მედია-მკვლევარის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებაში;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების	• შეუძლია კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული ცოდნის დ აუნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება, აკადემიური საქმიანობის დაწყება; • შეუძლია მასობრივი კომუნიკაციის და მედია–კვლევის დაგეგმვა, განხორციელება და დროის

უნარი	სწორად მართვა; • შეუძლია კვლევის დიზაინის სწორად აგება; თემის აქტუალობის განსაზღვრა და დასაბუთება; ლიტერატურის მიმოხილვის დაწერა, მიზნების და ამოცანების, საკვლევი კითხვების, ჰიპოთეზების სწორად იდენტიფიკაცია, მეთოდის სწორად შერჩევა, თეორიული ჩარჩოს მომზადებს, შედეგების დამუშავება, კვლევის პერსპექტივის დასახვა, რეკომენდაციების შემუშავება. • აქვს აკადემიური წერის უნარი, რომელსაც იყენებს სამეცნიერო მუშაობისას; • შეუძლია დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობა კვლევის წარმოებისას; • შედეგზე ორიენტაციის უნარი; • ფლობს საერთაშორისო კომპეტენციებს (I-COMs) და შეიძლია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში, გამოაქვეყნოს კვლევითი ნაშრომები.
დასკვნის უნარი	• აქვს მასობრივი კომუნიკაციის და მედია-კვლევის მომზადებისთვის კვლევის თემატიკის შერჩევის და პრობლემის სწორად იდენტიფკაციის, პრიორიტეტების განსაზღვრის და გააზრების უნარი; შეუძლია დაასაბუთოს კვლევის პრაქტიკული ღირებულება დაინტერესებული მხარეებისთვის; • აქვს არგუმენტირებული მსჯელობის, განმარტების, ანალიზისა და სინთეზის უნარი; • აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი და შეუძლია შეაფასოს მედია მარემო, მედია-ინსტიტუტების ფუნქციონირების სტანდარტები და სხვ.
კომუნიკაციის უნარი	• კვლევითი სამუშაოს წარმართვისას, შეუძლია შესაბამის წყაროებთან, კოლეგებთან, ფართო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის დამყარება; • შეუძლია კვლევითი საქმიანობისას კომუნიკაციის სწორად წარმართვა, ინტერვიუების დაგეგმვა, მოდერატორობა; • აქვს კითხვის სწორად დასმის და მოსმენის უნარი; • აქვს ინფორმაციის გადმოცემის/პრეზენტაციის უნარი. • აქვს აუდიტორიაზე/მომხმარებელზე ორიენტაციის უნარი; • აქვს მულტიმედიის აღქმის და სიღრმისეული შესწავლის უნარი; • შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიულ დონეზე კომუნიკაციისათვის

	და სამეცნიერო კვლევისთვის. • შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ინგლისურად კომუნიკაცია.
სწავლის უნარი	• შეუძლია მიღებული ცოდნა გამოიყენოს, როგორც მყარი საფუძველი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, აკადემიურ სფეროში ახალი ცოდნის დისტრიბუციისთვის, დამატებითი დარგობრივი და მულტიდისციპლინარული ცოდნის მიღებისა და გაღრმავებისთვის; • შეუძლია არჩევანის გაკეთება მომავალი კვლევის დაგეგმვის, კვლევის პერსპექტივის საჭიროებების კუთხით. • აქვს სხვადასხვა წყაროებთან მუშაობის, ლიტერატურის, დოკუმენტების დამუშავება-შესწავლის უნარი; • მაგისტრატურაში მიღებული ცოდნის საფუძველზე, კურსდამთავრებული შეძლებს აკადემიური სწავლის გაგრძელებას და კარიერის დაწყებას დოქტურანტურაში.
ღირებულებები	კონკურენტულ სამეცნიერო გარემოში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან, მედია ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზით, კურსდამთავრებული ხელს უწყობს როგორც მედიის განვითარებას, ასევე დემოკრატიული საზოგადოების წინსვლას, იცავს პროფისიული და აკადემიური ეთიკის ნორმებს. კურსდამთავრებულს გააზრებული ექნება მასკომუნიკაციის მკვლევარის როლი და მნიშვნელობა დემოკრატიული, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სტუდენტზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების განხორციელება მოიცავს სწავლის შედეგების მიღწევის სხვადასხვა მეთოდებს: გონებრივი იერიში, ლექცია-სემინარებს და სამუშაო ჯგუფებს, პრაქტიკულ დავალებებს, როლურ და სიტუაციურ თამაშებს, დისკუსიებს, და სხვა იმ მეთოდებს, რომელთა გაზომვადი შედეგები აისახება შეფასების სისტემაში. ინტერაქტიური და მოქნილი სწავლების პროცესის დაგეგმვისთვის და შეფასების სისტემის მეტი გამჭვირვალობისთვის, გამოიყენება თსუ–ს ელექტრონული სწავლების პორტალი (e-learning.tsu.ge).

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტების შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის წესდებასთან. სტუდენტი ყოველ საგანში მოწმდება ECTS–ის სისტემით

(კრედიტის მინიჭების საფუძველზე), 100-ქულის ფარგლებში. შეფასების მეთოდებით ადექვატურად მოწმდება პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი კომპონენტები, მაგ: აქტიურობა, შუალედური შემოწმებება, პრაქტიკული და კვლევითი დავალებები, დასკვნითი გამოცდა, პრეზენტაციები და სხვ. კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოცდაში გათვალისწინებულია წერითი კომპონენტი ან წერითი და ზეპირი კომპონენტი. სტუდენტები ფასდებიან მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე. სამაგისტრო ნაშრომში კრედიტის მინიჭება ხორციელდება ნაშრომისადმი დადგენილი მოთხოვნების და პროცედურების შესრულების შემთხვევაში.

შეფასების სისტემა		
A	91 -100	ფრიადი
B	81 -90	ძალიან კარგი
C	71 -80	კარგი
D	61 -70	დამაკმაყოფილებელი
E	51 - 60	საკმარისი
FX	41 - 50	ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
F	0 – 40	ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

კ) სასწავლო გეგმა, სწავლის ორგანიზების თავისებურებების მითითებით: იხილეთ დანართი

ლ) პროგრამის ხელმძღვანელი: მარიამ გერსამია, პროფესორი

მ) დასაქმების სფეროები: პროგრამა ეხმარება მაგისტრანტს აკადემიურ და პროფესიულ წინსვლაში; ასევე, შესაძლებლობას აძლევს მას დასაქმდეს ყველა სახის მედიასა და საინფორმაციო სამსახურში, პრესასთან და საზოგადოებასთან

ურთიერთობის სამსახურებში, ანალიტიკურ–საკონსულტაციო სააგენტოებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, მედიის და კომუნიკაციების კვლევით ორგანიზაციებში, სარეკლამო სააგენტოებსა და მედია–მონიტორინგის კომპანიებში). ასევე, შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას მომიჯნავე სპეციალობით დასაქმებისთვის.

ნ) დამატებითი ინფორმაცია

1.1. **პროგრამის ანალოგი:** პროგრამები მსგავსი სახელწოდებით ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის ათეულობით წამყვან უნივერსიტეტში, მათ შორის ისეთ უნივერსიტეტებში, როგორებიცაა: დენვერის უნივერსიტეტი(აშშ), ჩრდილოეთ-კაროლინას უნივერსიტეტი ჩაპელ ჰილში (აშშ), ჯორჯიის უნივერსიტეტი (აშშ), ფლორიდას უნივერსიტეტი(აშშ), და სხვ.

პროგრამა ჩართულია ტემპუსის (TEMPUS) პროგრამაში: „აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციის განვითარება კულტურული და სტრუქტურული ადაპტაციის გზით“ (“Promoting Internationalization of HEIs in Eastern Neighborhood Countries through Cultural and Structural Adaptations”), დამფინანსებელი: ევროსაბჭო. სხვადასხვა კურსების შემუშავებაში ჩართულნი არიან მედია განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციები („დოიჩე ველე აკადემია“, გერმანია) და არასამთავრობო ორგანიზაციები. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტს დამატებით აძლიერებს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები.

1.2. სტუდენტთა რა რაოდენობის მომსახურეობა შეუძლია პროგრამას: 20

1.3. **პროგრამის განხორციელებაში ჩართული პედაგოგების რაოდენობა:** პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 21 პედაგოგი, აქედან: მიმართულების აკადემიური პერსონალიდან – 5, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან – 3, მოწვეული პედაგოგი – 10, უცხოელი პედაგოგები – 3.

2. **დანართები:**

ა) სასწავლო კურსის სილაბუსები (*იხილეთ დანართები).*

ბ)ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ დანართის (CV) სახით; *იხილეთ დანართები*

გ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ

პროგრამის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად გამოყენებულია თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული მატერიალური რესურსი. მათ შორის: აუდიტორიები, კომპიუტერები, პროექტორები, ლეპტოპები, სამონტაჟო კომპიუტერები, რეკორდერები, ვიდეოკამერები, დიქტოფონები და სხვ., უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა (მათ შორის, მსოფლიო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან).

დ) პროგრამის დამტკიცების ასლი (*იხილეთ დანართი)*

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

<u>უნივერსიტეტი</u>/ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / **<u>მიმართულება</u>:** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი / კოორდინატორ(ებ)ი: პროფესორი მარიამ გერსამია

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):

პროგრამის სტრუქტურა: „მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები“

სავალდებულო კურსები/მოდულები : 77 კრედიტი (ECTS)										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩაბარება			შემოდგომა	გაზაფხული	
1	ინტერპერსონალური კომუნიკაციების ფსიქოლოგია - 1	5	15	15	7	88	წინაპირობის გარეშე	X		ნოდარ ბელქანია
2	მედიის და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები -1	6	30	15	5	100	წინაპირობის გარეშე	X		მარიამ გერსამია მაია ტორაძე
3	სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის (SPSS) - 1	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე	X		ვანო კეჭაყმაძე
4	მასკომუნიკაციის თეორიები -1	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	X		ეკა ბასილაია
5	მასკომუნიკაციის თეორიები - 2	5	15	15	5	90	მასკომუნიკაციის თეორიები 1*	X	X	ეკა ბასილაია

6	ადამიანის უფლებები და მედია ანალიზი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	დალი ოსეფაშვილი
7	მედია მონიტორინგი და შეფასება	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		X	მარიამ გერსამია
8	მედიის და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები - 2	6	30	15	5	100	მედიის და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები - 1		X	მარიამ გერსამია მაია ტორაძე
9	კვლევის დიზაინი	5	15	15	4	91	მედიის და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები - 2	X		მარიამ გერსამია
10	სამაგისტრო ნაშრომი	30					კვლევის დიზაინი	X	X	
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები/მოდულები 38 კრედიტი (ECTS)										
11	ინტერპერსონალური კომუნიკაციების ფსიქოლოგია - 2	5	15	15	7	88	ინტერპერსონალური კომუნიკაციების ფსიქოლოგია - 1		X	ნოდარ ბელქანია
12	საზოგადოებრივი აზრის კვლევა და მედია	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		მაკა სეხნიაშვილი
13	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი და კვლევა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	X		მარიამ გერსამია
14	სამაუწყებლო პროდიუსირება	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	ხათუნა იოსავა
15	ინფორმაციული საზოგადოების თეორიები	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		ამირან ბერძენიშვილი
16	ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა და თანამედროვეობა	5	15	15	7	88	წინაპირობის გარეშე		X	დალი სინჯარაძე

17	სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის SPSS - 2	4	15	15	6	64	სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის SPSS (1)		X	ვანო კეჭაყმაძე
18	საინფორმაციო ომები: პოსტსაბჭოთა საქართველო და მედია	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	X		თამარ ბელქანია
19	მედია გარემოს შეფასება და მონიტორინგი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X		მამუკა ანდღულაძე
20	მედია მონიტორინგი (სტაჟირების კრედიტ-კურსი)	5	5	15	4	101	მედია მონიტორინგი და შეფასება	X		ხათუნა ბაქრაძე მარიამ გერსამია
21	მედია და სასამართლო: დემოკრატიული და ღია საზოგადოების საფუძვლები (ინგლისურად)	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	პანდელი პანი დავით ქუტიძე
22	დღის წესრიგი მედიაში (ინგლისურად)	4	15	15	4	66	წინაპირობის გარეშე	X	X	დონალდ შოუ, მარიამ გერსამია
23	მედია კრიტიკა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	მარიამ გერსამია
24	მედია-პროგრამირების სტრატეგიები	4	15	15	4	66	წინაპირობის გარეშე	X		ნინო მახვილაძე
25	გლობალური კომუნიკაციები	4	15	15	5	65	წინაპირობის გარეშე		X	ეკა ბასილაია
26	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები და მედია (ინგლისურად)	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X	X	რუსუდან ვაშაკიძე
27	აპლიკაციების პროგრამული ინტერფეისების (API), ციფრული კონტენტ-ანალიზის და სოციალური მონაცემების გამოყენება მედიის და	4	15	15	4	66	წინაპირობის გარეშე	X	X	ქრის ვარგო

	კომუნიკაციის კვლევებში (ინგლისურად)									
28	პროექტის ციკლის მართვა (ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების პროგრამიდან)	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე	X		ირინა ფრუიძე
29	მედიაციის და ფასილიტაციის პროცესი	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	X		რევაზ ჯორბენაძე
30	საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიები	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	მარიამ გერსამია
თავისუფალი კურსები/მოდულები _ 5 კრედიტი (ECTS)										

*წინაპირობა ამოქმედდება 2016–2017 წლის მიღების მაგისტრანტებისთვის;